საექსპერტო დასკვნა

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა (ს.კ. 01.72.14.008.293) საპროექტო მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობანაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე. საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: დავით მაქაძე. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების საფუძველზე 13-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განომარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. წესები - შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები
2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო ტერიტორიაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 11,19,2019 წელს გაცემულია თანხმობა გრგ-ზე N328 (201832322). ამ დოკუმენტის საფუძველზე იგეგმება მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლი ს მშენებლობა

მიწის ნაკვეთის მდებარეობა
საპროექტო მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია 12906,1 კვ.მ მდებარეობს დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა (ს.კ. 01.72.14.008.293) საკადასტრო ერთეულზე. სამშენებლო ტერიტორია წარმოადგენს საშუალო სირთულის რელიეფურ ლანდშაფტს. საპროექტო შენობას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება სამანქანო გზა. აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ მხრიდან კი ემიჯნება განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე სართულიანი შენობები. საპროექტო შენობა მდებარეობს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

შენობა ნაგებობა წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასული ტიპის ნაგებობას, ბრტყელი გადახურვით, რომლის მაქსიმალური მალი არ აღემატება 6.50 მეტრს. ობიექტი ხასიათდება საცხოვრებელი დანიშნულების შენობებისთვის დამახასიათებელი თანამედროვე არქიტექტურული სტილით. შენობა შედგება H, H’, H’’ და F/G ბლოკებისგან (ფლიგელებისგან).

F/G ბლოკის ნულოვანი ნიშნული მდებარეობს არქიტექტურული ნულის დონეზე და გასასვლელებიც ამ ნიშნულზე აქვს, ხოლო H, H’, H’’ ბლოკები, განაშენიანების ტერასულობიდან გამომდინარე საზოგადოებრივ სივრცეს უკავშირდებიან -9,90 მეტრ ნიშნულზე (-3 სართულზე). გარდა შიგა გასასვლელი გზა კიბისა, H და H’’ ბლოკებს აქვთ დამატებით გარეთ გასასვლელები -6,60 (-2 სართული) და -3,30 (-1 სართული) ნიშნულებზე. H და H’’ ბლოკები მიწისპირა სართულიდან ერთიანდებიან F/G ბლოკთან.

H’ ბლოკს საზოგადოებრიც სივრცესთან გასასვლელი აქვს -9.90 ნიშნულზე. მოცემული ბლოკი წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, და მთავარ, F/G ბლოკთან დაკავშირებულია მხოლოდ ავდოსადგომების დონეზე. H’ ბლოკი -9,00 ნიშნულიდან (რომელიც ამ ბლოკისთვის წარმოადგენს მიწის დონის ნიშნულს) ზემოთ შედგება 1 სავაჭრო-კომერციული და 3 საცხოვრებელი სართულისგან, თითოეული სართული არის 400 კვადრატულ მეტრზე ნაკლები და თითო სართულზე მდებარეობს 3 ბინა. აქედან გამომდინარე H’ ბლოკს აქვს 1 გასასვლელი გზა კიბე და ლიფტი.

ყველა ბლოკი დაკავშირებულია F/G ბლოკის ქვემოთ მდებარე დახურულ ავტოსადგომთან.პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

კონსტრუქციულად შენობა იქნება კარკასული, გაძლიერებული ფილებით და კომბინირებული საძირკვლით.

4. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები წესების 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- სც-2 (6879,27 კვ.მ) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს შენობებს, რომლებიც განკუთვნილია საცხოვრებლად, ხანგრძლივი დაკავებისთვის
- სვ (1472,6 კვ.მ) სავაჭრო-კომერციული ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს სივრცეებს, რომელბიც განკუთვნილია სავაჭროდ, მაღაზიებისთვის.
- სწ-1 (62,98 კვ.მ) სასაწყობო ჯგუფი, რომლებიც წესების მიხედვით მოიცავს სივრცეებს, რომლებიც განკუთვნილია საშუალო საფრთხის შემცველი ნივთების შესანახად.
- სწ-2 (2780,47 კვ.მ) სასაწყობო ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს სივრცეებს, რომელიბიც განკუთვნილია დახურული ავტოსადგომებისთვის.
- დს (219,58 კვ.მ) დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს ავზისა და ტუმბოს სივრცეებს.
- სმ-1 (41,28 კვ.მ) სამრეწველო ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს გაზის მრიცხველების ოთახებს.

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა II-A ტიპის კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს წესების 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სც-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	4
ფართი	2230	1323,88

სიმაღლე	19.8	16,5

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სვ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	1
ფართი	2000	427,62
სიმაღლე	19.8	3

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სწ-1 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	0
ფართი	2420	31,49
სიმაღლე	19.8	0

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სწ-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	0
ფართი	3620	1632,92
სიმაღლე	19.8	0

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (დს დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	0
ფართი	1770	131,26
სიმაღლე	19.8	0

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სმ-1 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	4	3

ფართი	2320	13,76
სიმაღლე	19.8	16,50

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- სც-2 საცხოვრებელ ერთეულებს H, H'' და F/G ბლოკებს წესების 1021.2 ქვეთავის მიხედვით ესაჭიროებათ ორი გასასვლელი. H და H'' ბლოკებს ემსახურებათ 1 გზა კიბე, ყველა სართულზე 1 გარეთ გასასვლელი კარი და ლიფტი. F/G ბლოკს გეგმარებიდან გამომდინარე ემსახურება 3 გზა-კიბე და 2 ლიფტი. H' ბლოკი გეგმარებით გამოყოფილია დანარჩენი შენობისგან, წესების 1021.2 ქვეთავის მიხედვით საჭიროებს 1 გასასვლელს და ემსახურება 1 გზა კიბე. H' ბლოკის მიწისპირა სართულზე (-9.90 მ) მდებარეობს კომერციული ფართები, რომლებსაც ემსახურებათ 2 გარეთ გასასვლელი კარი.

  ყველა გასასვლელი საშუალება დაგეგმარებულია წესების 1009.2 და 1027.1 ქვეთავების მიხედვით.

- სვ დაკავებულობის სავაჭრო სივრცეებს, წესების 1009.2 და 1027.1 ქვეთავების მიხედვით, H,H' და H'' ბლოკებში ესაჭიროებათ 2 გასასვლელი. ხოლო F/G ბლოკში, მიწისპირა სართული დონეზე მდებარე სავაჭრო სივრცეს ესაჭიროება 1 გასასვლელი. ყველა გასასვლელი საშუალება დაგეგმარებულია წესების 1009.2 და 1027.1 ქვეთავების მიხედვით და ემსახურებათ ღია ცის ქვეშ გამავალი გასასვლელის კარები.

- F/G ბლოკში -1 და -2 სართულებზე მოწყობილია დახურული ავტოსადგომი, რომელიც გასასვლელებს და სხვა სართულებს უკავშირდება კიბით (კიბეებს აქვს ფოიე) და ლიფტებით.

- შენობიდან გამოსასვლელები წესების 1027 ქვეთავის შესაბამისადაა დაგეგმარებული.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს წესების 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გზა-კიბეები დაგეგმარებულია წესები 1009 და 1022 ქვეთავების შესაბამისად.

- დაცულია გზა-კიბეებს შორის მანძილი, გათვალისწინებულია გზა-კიბის კარის მუშაობის

პრინციპი, გასასვლელის კვამლ გაუმტარი შემომზღუდავები და ყველა სხვა კომპონენტი, რომელიც განსაზღვრულია წესების 403.5 ქვეთავში.

- გზა-კიბეები შემოზღუდულია წესების 707 ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ზღუდით. ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათზე მეტია.

- +0.00 ნიშნულზე მდებარეობს შენობიდან გამოსასვლელები დაგეგმარებულია 1022.1 ქვეთავის მიხედვით. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები, რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში გასასვლელის კომპონენტებია, უნდა მოეწყოს ამ ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები პირდაპირ შენობის გარეთ უნდა მიემართებოდეს ან შენობის გარე მხარემდე უნდა გაგრძელდეს 1023-ე ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფნით. გამონაკლისია 1027.1 ქვეთავში დაშვებული შემთხვევა. შიგა გასასვლელის გზა-კიბე ან პანდუსი არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა დანიშნულებით, გარდა გასასვლელი საშუალებისა.

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- ნაგებობაში პროექტით თითოეულ საცხოვრებელ ერთეულში, გათვალისწინებულია ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მათი სიგანეები არის 110 სმ-ზე მეტი. რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთვების მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი წესების 1013 ქვეთავის შესაბამისად.

- სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს წესების 1009.7.2 ქვეთვის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება წესების 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს წესების 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს წესების 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკმაყოფილებს წესების 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- წესების 1006 ქვეთავის მიხედვით გასასვლელი საშუალებები (გზა-კიბეები, დერეფნები,) ყოველთვის უნდა იყოს განათებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრო მომარაგებით, გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.

- წესების 1006.3.1 განათებულობის დონე საგანგებო ელექტრომომარაგების დროს. საგანგებო ვითარებისას გასანათებელი მოწყობილობები უნდა უზრუნველყოფდეს საშუალოდ 11

ლუქს განათებულობას და გასასვლელის გზის გასწვრივ იატაკის დონეზე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 1 ლუქსს. განათებულობა შეიძლება შემცირდეს 6 ლუქსამდე, ხოლო საგანგებო ვითარების დასრულებამდე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 0,6 ლუქსამდე. განათებულობის მაქსიმალური და მინიმალური თანაფარდობა 40:1-ს არ უნდა აღემატებოდეს.

6. მისაწვდომობის შეფასება

- საპროექტო შენობა-ნაგებობების შესასვლელი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ყველა შესასვლელი მდებარეობს მიწის დონეზე. საიდანაც მოხვედრა შეიძლება ლიფტებთან მათი საშუალებით შშმ პირს შეუძლია მოხვედრა ყველა სართულზე.

- სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი. ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- ყველა კარი, ყველა დერეფანი და ყველა სივრცე არის მისაწვდომი. პროექტი სრულად აკმაყოფილებს წესების 11 თავის მოთხოვნებს

- ლიფტებში დაყენებულია დაწნევის სისტემა წესების 713.14.1 ქვეთავის გამონაკლისი 6- ის მიხედვით,

- ტერიტორიაზე მოწყობილია წესების 1106.1 ცხრილის მიხედვით მისაწვდომი ავტოსადგომების საჭირო რაოდენობა.

- ნაგებობა სრულად აკმაყოფილებს წესების მე-11 თავის მოთხოვნებს.

- ნაგებობაში შესასვლელების 50%-ზე მეტი წესების 1105.1 ქვეთავის მიხედვით არის მისაწვდომი.

- წესების 1104 ქვეთავის მიხედვით სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი

7. ლიფტების შეფასება

- ნაგებობაში მოწყობილია ერთი ლიფტი წესების 1109.7 1007.2.1 ქვეთავების მოთხოვნით, რომელიც მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის.

- ლიფტების დაგეგმარებისას გამოყენებულია წესების 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ის აკმაყოფილებს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ASME A117-ის მიხედვით

- ლიფტის შახტის შემომზღუდავების სტრუქტურული მთლიანობა აკმაყოფილებს წესების 403.2.3.1 - 403.2.3.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ლიფტის კაბინა აკმაყოფილებს 1702.4 პუნქტის მოთხოვნას. ისეა დაგეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2,15 X 0,6 ზომის საკაცის შეტანა.

- ლიფტის შახტის საჰაეროების დაგეგმარება და ფართობი შეესაბამება წესების 1704.3 ქვეთავის მოთხოვნას.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო ნაგებობების გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

- ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს წესების 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 601 ცხრილის მოთხოვნებს.

- დაცულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში.

- გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლების ანაწყობი, გამოყენებული მასალები და მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს წესების მე-14 თავის მოთხოვნებს

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სქემით:

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია წესების 601 ცხრილის მიხედვით. შენობის II-A კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის სახურავს წარმოადგენს რკინაბეტონის ფილა რომელსაც აქვს 1 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- სახურავის ფილის ზედაპირზე განლაგებულია არაწვადი თბოსაიზოლაციო ფენილი, ქვიშაცემენტის მოჭიმვა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილი. სახურავის ანაწყობი წესების 15 თავის მოთხოვნების შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

- სახურავს ზემოთ მდებარეობს ლიფტის სამანქანე ნაგებობა, რომელსაც უკავშირდება შიდა გასასვლელის გზა-კიბეები. სახურავს ზედა ნაგებობები აკმაყოფილებს წესების 1509 ქვეთავის მოთხოვნებს

- სახურავი წესებთან შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

შენობა-ნაგებობაში ექვსი დაკავებულობაა.

H, H'' ბლოკებში -3 და -2 სართულებზე, H' ბლოკში -3 სართულზე და F/G ბლოკში მიწისპირა სართულზე სავაჭრო-კომერციული.

H, H'' ბლოკებში -3 სართულზე სწ-1 საწყობები.

H, H'' ბლოკებში -1, მიწისპირა და მეორე სართულზე, H' ბლოკში -2, -1 და მიწისპირა სართულზე და F/G ბლოკში მიწისპირა, მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე სც-2 საცხოვრებელი ბინები

F/G ბლოკში -2 და -1 სართულებზე სწ-2 დახურული ავტოსადგომები და დს დამხარე და სხვა დანიშნულების სივრცეები.

F/G ბლოკში მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე სმ-1 სამეწამრეო დანიშნულების მრიცხველების ოთახები.

სვ და სც-2 დაკავებულობები წესების 508,4 ცხრილის მიხედვით იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის გამმიჯნავებით (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით). სც-2 და სმ-1 დაკავებულობები წესების 508,4 ცხრილის მიხედვით იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის გამმიჯნავებით (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით). სწ-2 და დს დაკავებულობები წესების 508,4 ცხრილის მიხედვით იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის გამმიჯნავებით (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით). სც-2 და სწ-2დაკავებულობები წესების 508,4 ცხრილის მიხედვით იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის გამმიჯნავებით (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით).

დერეფნები, საცხოვრებელი ბინებისგან, საწყობებისგან, დს, სმ, სვ დაკავებულობებისგან, წესების 1018,1 ცხრილის მიხედვით, გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის გამმიჯნავებით.

შიგა გასასვლელი საშუალებები, გზა-კიბეები, გზა-დერეფნები, ფოიეები, ლიფტები, ლიფტის ტამბურები სხვა სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის გამმიჯნავებით.

10.1 შენობა არის ბუნებრივად განიავებადი, გარდა დერეფნის, კიბის უჯფრედისა, ლიფტის, ლიფტის ტამბურის, სმ-1 დაკავებულობის მრიცხველების სივრცეების და სწ-2 ავტოსადგომებისა, რომლებიც ნიავდება მექანიკურად.

11. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

903 თავის შესაბამისად, დს და სწ-2 დაკავებულობის დახურული ავტოსადგომი სივრცეები აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემებით.

905 თავის შესაბამისად შიგა გასასვლელის გზა-კიბეებში და დერეფნებში მოწყობილია სახანძრო

მილდგარების სისტემები.

906 თავის შესაბამისად სწ-1, სვ, დს, სმ-1, სწ-2 დაკავებულობები და საცხოვრებელი სართულების დერეფნები აღჭურვილია ხელის ცეცხლმაქრებით.

907.2.9 თავის შესაბამისად საძინებელ ერთეულებში და სამზარეულოებში მოწყობილია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლები. კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები უნდა განთავსდეს 907.2.11 ქვეთავის შესაბამისად.

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული ,,წესების“ მიხედვით.

გათვალისწინებულია სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები.

12. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება წესების ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს
- საცხოვრებელ სართულებზე ყველა ბინაში მოწყობილია საჭირო რაოდენობის ტუალეტები (წესების 1602.1 ცხრილი)

13. ავტოსადგომების შეფასება

ნაგებობაში მოწყობილია ავტოსადგომები, რომლებიც წესების დაცვითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნას.

- შენობაში მოწყობილია ავტოსადგომები, რომლებიც წესების დაცვითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნას.

დ ა ს კ ვ ნ ა

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა (ს.კ. 01.72.14.008.293) საკადასტრო ერთეულზე საპროექტო მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ და ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის“ დამტკიცების თაობაზე. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: დავით ბოჭორიშვილი

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“

ობიექტი: მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლი
მისამართი: დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა (ს.კ. 01.72.14.008.293)
არქიტექტორები: დავით მაქაძე
ექსპერტი: დავით ბოჭორიშვილი პ.ნ. 20001065298

შენიშვნები

- საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტისა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბერის დადგენილება №732, ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- პროექტის რაიმე სახის ცვლილებას მშენებლობის დროს ან ექსპლუატაციის მიღების შემდგომ ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას

- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე მშენებლობის პროცესში.

- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით.

- მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განემარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. სარქსპერტო დასკვნის მოსამზადებლად მოწოდებული იქნა არქიტექტურული პროექტი რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს.

1. განმარტებითი ბარათს;
2. პირობითი აღნიშვნებს
3. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს
4. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას;
5. საპროექტო შენობის გენგეგმა მიმდებარე საკადასტრო ხაზების და გზების დატანით;
6. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას;
7. შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმას;
8. შენობა-ნაგებობის ფასადებს;
9. შენობა-ნაგებობის ჭრილებს;
10. დაკავებულობის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; ცეცხლმედეგობის გამმიჯნავებს)
11. პანდუსების და კიბის უჯრედების დეტალურ ნახაზებს;
12. ფასადის დეტალურ ნახაზებს;
13. სახურავის დეტალურ ნახაზებს;
14. შენობის ვიზუალურ ნაწილს (რენდერი);

შენიშვნა: დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე

ტექნიკური რეგლამენტის <მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ საფუძველზე შეფასდა

1. მისაწვდომი სვლაგეზი

- მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები;
- თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები;
- პანდუსები;
- ლიფტები;

2. ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები

- მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები
- მისაწვდომი გზაკიბეები;
- ფანჯრები;

3. წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები

- ტუალეტების ოთახები
- უნიტაზები
- ხელსაბანები

4. საკომუნიკაციო ელემენტების ფუნქციები

- ნიშნები

5. ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები
- სავაჭრო მომსახურებისთვის განკუთვნილი დახლები

6. მისაწვდომი საცხოვრებელ იერთეულები:
- „ა“ ტიპის ერთეული
- „ბ“ ტიპის ერთეული

1. მისაწვდომი სვლაგეზი

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303- ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სავაჭრო ფართში, თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარების თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და

404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარების კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ- ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ბორდიურის პანდუსი, რომელიც წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში, საზოგადოებრივ სივრცესთან, შეესაბამება 406 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- საფეხმავლო ბილიკის გასწვრივ, ბორდიურის პანდუსის ბაქნის სიგრძე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო სიგანე 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 406.2.1 ქვეთავს.
- ბორდიურის პანდუსის დახრა განისაზღვრება 1:20 თანაფარდობით, რაც შეესაბამება 406.2.2 ქვეთავს.
- ბორდიურის პანდუსის სიგანე შეადგენს 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 406.5.1 ქვეთავს.
- დონის წყვეტისადმი მოთხოვნები შეესაბამება 406.5.2 ქვეთავს. ▪ ბორდიურის პანდუსის განივი დახრა არის სწორი, რაც აკმაყოფილებს 406.5.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- პანდუსის ბოლოში, ავტომობილების სამოძრაო გზის მიღმა, მოწყობილია თავისუფალი სივრცე 1200 მმ X 1200 მმ-ის სახით, თანახმად 406.5.5 ქვეთავისა.
- ბორდიურის პანდუსის მდებარეობა შეესაბამება 406.5.7 და 406.5.8 ქვეთავების მოთხოვნას.
- 705-ე ქვეთავის შესაბამისი ამოცნობადი გამაფრთხილებლები განთავსებულია ქვეითთა გზაზე გადასასვლელთან არსებულ ბორდიურის პანდუსთან, რაც შეესაბამება 406.6.2 ქვეთავის 1-ლი პუნქტის მოთხოვნას. ამოცნობადი გამაფრთხილებლები მოწყობილია შემდეგი ნორმების დაცვით:
- ამოცნობადი გამაფრთხილებლების კონტრასტი სხვა ზედაპირებისაგან შესაბამისობაშია 705.3 ქვეთავთან.
- თავწაკვეთილი გუმბათების პარამეტრები შესაბამისობაშია 705.5.1 – 705.5.4 ქვეთავებთან.
- ამოცნობადი გამაფრთხილებლების სიღრმე და სიგანე შეესაბამება 705.6 ქვეთავს.
- ამოცნობადი გამაფრთხილებლები განთავსებულია ბორდიურის უკან, პანდუსის ზედაპირზე, ქვედა დონის ცვლილების ხაზიდან ერთი გუმბათის ფარგლებში, თანახმად 705.7.1 ქვეთავის მე-2 პუნქტისა.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოწყობილია 407.4.1 ქვეთავის შესაბამისი ლიფტები, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტების დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- კაბინის კარი მდებარეობს ცენტრში და მისი სუფთა სიგანე განსაზღვრულია 1000 მმ-ით, რაც შესაბამისობაშია 407.4.1 ქვეთავთან.
- ლიფტის კაბინის შიგნით გვერდიდან გვერდამდე 1370 მმ-ზე მეტია, უკანა კედლიდან წინა კედლამდე 2000 მმ-ზე მეტი, ხოლო უკანა კედლიდან კარებამდე 2000 მმ-ზე მეტი

2. ადგილის და შენობის ელემენტები

საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე5 თავის დებულებებს:

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.
- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას -
- „მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს:

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.
- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.
- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.
- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით -
- „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა

3. წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები

საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს:
- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს:
- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს:
- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად. ▪
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

4. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებშიმისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:
- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან

მიმართებაში.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.
- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“ მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.
- თავშესაფრის ფართობებზე განთავსებულია ნიშანი მითითებებით საგანგებო ვითარებაში ფართობის გამოყენების შესახებ. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.
- თავშესაფრის ფართობებთან განთავსებულია ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

5. ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები

სავაჭრო მომსახურებისათვის განკუთვნილი დახლი შეესაბამება 904 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

- დახლის ყველა ნაწილი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე.
- სალაროს დახლის ზედაპირის სიმაღლე შეესაბამება 904.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

6. მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული:

საპროექტო შენობაში „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენ ნომრების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:

„ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული. (განლაგებულია მეორე სართულზე) ▪

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა.
- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.
- ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. შეესაბამება 1103.3.2 ქვეთავს.
- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, შეესაბამება 1103.3.3 ქვეთავს.
- სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.
- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.
- სარეცხი მანქანა შეესაბამება 611-ე ქვეთავს.
- ერთეულში მოწყობილია ტუალეტი აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
  • ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.
  • გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
  • ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.
  • უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.
  • აბაზანა შეესაბამება 607-ე ქვეთავს.
  • სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

11. ბ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები

ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული. (ა და ბ ბლოკებში ყველა ბინა გარდა „ა“ ტიპის ერთეულისა)
- „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.
- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, შეესაბამება 1104.2 ქვეთავს.
- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს, შეესაბამება 1104.3.1 ქვეთავს.
- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, შეესაბამება 1103.3.2 ქვეთავს.
- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.
- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შეესაბამება 404-ე ქვეთავს.
- ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.
- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.
- სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, შეესაბამება 1104.10.1 ქვეთავს.
- ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:
- კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
- ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.
- უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.
- აბაზანები შეესაბამება 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2 ქვეთავებს.
- სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

დ ა ს კ ვ ნ ა

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა (ს.კ. 01.72.14.008.293) საპროექტო მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბერის №732 დადგენილებასთან. ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს სტანდარტებთან შესაბამისობისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: დავით ბოჭორიშვილი



რეზიუმე



სახელი, გვარი - დავით ბოჭორიშვილი
დაბადების თარიღი - 22/12/1997
საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი - თბილისი, შარტავას 18 გ.
ტელეფონი - 555369552
ელ-ფოსტა -davitbotchorishvili0@gmail.com
Behance: https://www.behance.net/davitbotchorishvili

განათლება:

2023: შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის ტრენინგ კურსი. (41-ე დადგენილება, მისაწვდომობის ეროვნული სტადნარტები)
2019-2023: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია - სამოქალაქო არქიტექტურის მაგისტრატურა
2019: FH Joanneum Graz, Austria, faculty of civil architecture -მაგისტრატურის გაცვლითი პროგრამა;
2015-2019: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, სამოქალაქო არქიტექტურის ბაკალავრი.
2016-2017: აიტი ტექნოლოგიების კოლეჯი ITVET, 3დ გრაფიკოსი გენერალისტი.
2004-2015: - თელავის N1 საჯარო სკოლა

სამუშაო გამოცდილება:

2024,08,01-დღემდე : კომპანია მეტრიკი. არქიტექტორი
2023.07.03-2024.08.01: სამშენებლო კომპანია “გრადა” - არქიტექტორი
2019-2023: შპს დაჯე - დამფუძნებელი, დირექტორი, დიზაინერი: საქმიანობის მიმართულება- ავეჯის დიზაინ სტუდია და საწარმო.
2020-2022: შპს ედიფიცე არტ - არქიტექტორი, ძირითადი მიმართულება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტირება.
2020-2021: IT Academy Step Georgia - ინტერიერის დიზაინისა და არქიტექტურის კურსის ლექტორი: პროგრამა მოიცავდა არქიკადის, ფოტოშოპის, ლუმიონის სრულ კურსსს და თეორიას.
2016-2022: შპს იკორთა 2007 - არქიტექტორი- საოფისე და დისტანციური მუშაობის გამოცდილება. ძირითადი მიმართულება რესტავრაცია, დიდი მოცულობის საერთაშორისო არქიტექტურული პროექტები.

**პარალელურად 2019 წლიდან ვმონაწილეობდი სხვადასხვა არქიტექტურულ პროექტებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. ინდივიდუალურად და*

გუნდურად მაქვს ნამუშევარი კერძო სახლების, ვილების, მრავალბინიანი და მრავალფუნქციური შენობების პროექტებზე პროექტირებიდან მშენებლობის ჩათვლით.

ენები:

ინგლისური - C1
რუსული - B2

კომპიუტერული პროგრამები

Archicad - ძალიან კარგად + Add-ons (Param-o, Archicad + Rhino with Grasshopper პარამეტრიცისტული მოდელირება)
Photoshop - ძალიან კარგად
Lumion - ძალიან კარგად
MeshRoom – 3D photogrametry - აერო ფოტო ტრიანგულაცია, 3დ ფოტო სკანირება დრონით
Sony Vegas pro - კარგად
Adobe after effects - დამწყების დონეზე
Microsoft Office Word - ძალიან კარგად
Microsoft Office Excel - ძალიან კარგად
Microsoft Office PowerPoint - ძალიან კარგად
C++ - დამწყების დონეზე

კონკურსები:

2022- გადაცემა "შარქ თენქ საქართველო" - გამარჯვებული სტარტაპით "დაჯე"
2022 შემოქმედებითი საქართველოს კონკურსის გამაჯვებული სტარტაპით „დაჯე" და შემდეგში საქართველოს წარმომადგენელი დანიაში გამართულ საერთაშორისო ბიზნეს ფესტივალზე.
2021 – LOOV EESTI საგანმანათლებლო ბიზნეს კონფერენციების მონაწილე, მეორე საპრიზო ადგილი საკუთარი სტარტაპით.
2018 – Latitude 59 საქართველოს კონკურსის გამარჯვებული.
2018 - Creative Business Cup გამარჯვებული და საქართველოს წარმომადგენელი საკუთარი სტარტაპით დანიაში საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციებზე და ტრენინგებზე.
2017 – Young Package 2017 - დიზაინის საერთაშორისო კონკურსის ტოპ 40 დიზაინში ნომინირებული შეფუთვის დიზაინი.
2016 - საცხოვრებელი სახლი სარფში, სამხატვრო აკადემია- მეორე ადგილი

კონფერენციები:

2023 – RDYE-ს მოწვეული სპიკერი ახალგაზრდა სტარტაპერების გადასამზადებელ პროგრამაში.
2022 – Creative Business Cup, international business conference in Denmark საქართველოს წარმომადგენელი საკუთარი სტრატაპით.
2022 - შემოქმედებითი საქართველოსა და შემოქმედებითი კავკასიის ფარგლებში

განხორციელებული ესტონურ ქართული ტრენინგების კურსი სამეწარმეო კომპანიების საექსპორტო გეგმის შედგენასა და კონტაქტების მოძიებაზე.
2021 – Solution to Polution. Erasmus +Youth Exchange in Lithuania;
2021 – LOOV EESTI საგანმანათლებლო ბიზნეს კონფერენციების მონაწილე, მეორე საპრიზო ადგილი საკუთარი სტარტაპით.
2018 – Latitude 59 საქართველოს კონკურსის გამარჯვებული.
საერთაშორისო ინოვაციური სტარტაპების გამოფენა და ტრენინგები. 2018 - Creative Business Cup გამარჯვებული და საქართველოს წარმომადგენელი საკუთარი სტარტაპით დანიაში საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციებზე და ტრენინგებზე.
2016 - მომავლის მოდელირება. პიტერ მოენიგის ფონდის მიერ სამხატრო აკადემიაში გამართული სემინარების მონაწილე.

მის.: ქ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №44
ტელ.: 551 00 55 37 ▪ 599 24 64 49
ვებ. გვერდი: www.ikorta.ge
ელ.ფოსტა: info@ikorta.ge ▪ ikorta_2007@yahoo.com

04.09. 2024

ც ნ ო ბ ა

ცნობა ეძლევა დავით ბოჭორიშვილს (პირ. №20001065298) მასზედ, რომ ის მუშაობდა შ.პ.ს „იკორთა 2007“-ში 2016 წლიდან 2022 წლამდე არქიტექტორის პოზიციაზე.

შ.პ.ს. „იკორთა 2007“

დირექტორი _____ **/გ. ხურცილავა/**

გრადა
დეველოპმენტი

ცნობა

ცნობა ეძლევა დავით ბოჭორიშვილს (პ/ნ 20001065298) მასზედ, რომ ის მუშაობდა შპს „გრადა დეველოპმენტ“-ში (ს/კ 405549893) 2023 წლის 03 ივლისიდან 2024 წლის 01 აგვისტომდე არქიტექტორის პოზიციაზე.

ცნობა გაიცემა დანიშნულების ადგილას წარსადგენად.

შპს გრადა დეველოპმენტი-ს დირექტორი

ნათია ლაბაძე

ხელმოწერა:

24.12.2024

გრადა დეველოპმენტი
თბილისი, მირიან მეფის ქ. 64
ტელ.: (+995 32) 2 407 407
info@grada.ge | www.grada.ge

N 2024 - 001

სერტიფიკატი

გადაეცა დავით ბოჭორიშვილი

პ/ნ 20001065298

მასზედ, რომ მან გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტრენინგ-კურსი

არქიტექტურის დოქტორი. არქიტექტორი

გიორგი ლოთიშვილი .....



22.01.2024

საქართველო
GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE ACADEMY OF ART

მაგისტრის დიპლომი
MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000056

არქიტექტურის
ფაკულტეტის 2023 წლის 15 აგვისტოს №5 გადაწყვეტილებით

დავით ბოჭორიშვილს

მიენიჭა არქიტექტურის
მაგისტრის აკადემიური ხარისხი

By Decision №5 of 15 August 2023
of the Faculty of Architecture

Davit Botchorishvili

was awarded the Degree of Master of
Architecture

დეკანი
Dean

ირაკლი პირმისაშვილი
Irakli Pirmisashvili

რექტორი
Rector

ყარამან ქუთათელაძე
Karaman Kutateladze

ს.ა.
Seal

16.10.2023
რიცხვი/თვე/წელი
day/month/year

თბილისი
Tbilisi

სარეგისტრაციო № 003 444
Registration


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
დავით
DAVIT
გვარი / LAST NAME
ბოჭორიშვილი
BOTCHORISHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მამ / M
პირადი No / PERSONAL No
20001065298
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
22.12.1997
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
24.05.2028
ბარათის No / CARD No
18IA02961
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თელავი
TELAVI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
24.05.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2017
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE018IA029613200010652985<<<<
9712227M2805243GE0<<<<<<<<<<<9
BOTCHORISHVILI<<DAVIT<<<<<<<<<